ПРОЛЕТАРЕБО УЗЕЛА ЧВЕУНИА, ШЕЗЕРТВЕОИТ!

ლელო

№ 82 (7393)

28 აპრილი, ხუთშაბათი

1983 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



სპორტის სპეციალისტებს, მწვრთნელებს, „ლელოს“ ყველა მკითხველს.

ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის!

რეპორტი ჩვენმა მეთხეველებმა იცით, 17 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მოფარკავეთა კლუბი „გორგა“. კლუბის მიზნებისა და ამოცანების, მისი ჩამოყალიბების შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე დაიბეჭდა კლუბის ხელმძღვანელობის ბევრი წერილი, ამიტომ ამჯერად ამაზე ხანგრძლივად არ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ კლუბის გახსნის საზეიმო ცერემონიალი ხალისიანად ლამაზი სანახაობა იყო, ეს იყო ნამდვილი დღესასწაული მოფარკავეთათვის და ფარიკაობის ყველა მოყვარულისათვის. ამ დღეს საქართველოს მოფარკავეებმა, ვეტერანებმა და ახალგაზრდებმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ისინი ერთი ოჯახი არიან და რომ ხალხმიდე ერთგულად ემსახურებიან სპორტის საყვარელ ხელობას.

კლუბის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს ორგწოს ჩვემაინი ფარიკაობაში ზინა კვეკვენაძისაძე, ვიცეპრეზიდენტებად — საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი ქართველთაგან, სპორტის ოსტატი რევაზ ციქარიძიძე და ურიანი „ხელი და ცხოვრება“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ტრენერი, სპორტის ოსტატი ალიპი ბოგვაძე. პასუხისმგებელი მდივნად — საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი იური ჭელიაშვილი.

იქნებ „გორგა“ პირველ შეცნობლადაც იქცეს და მალე ახეთ კლუბები სხვა სპორტის წარმომადგენლებმაც დაიარსონ?! მათთვის „გორგა“ გზის გამკვლევი და კარგი მაგალითი იქნება. ამიტომ რედაქცია სიხარულით გაიწევრებს ამ კლუბის საქმიანობას. ამჯერად კი ვიქვეყნებთ კლუბის წევრთა საზეიმო ფიცს და გამსჭვალულ ამ ფიცის ხალხურ სიტყვას, რომელშიც კარგად ჩანს ქვეყნისა და სპორტის საყვარული, ჩანს ერთგულება საქმისადმი და, რაც მთავარია, მკაფიოდ აქვეითა „თათბირ მტკიცე კავშირი, რომლის დარღვევას არასოდეს შეუტანია ბიძგი.

დღესასწაული

დღეს ქართულ ფარიკაობას თავისი, გამორჩეული დღესასწაული აქვს. განა მას თავისი არსებობის მანძილზე დღესასწაული ჰქონია, განა ურიცხვ გარსკვლავად არ ანთებულა ქართული სპორტის კამაღონზე სხვადასხვა თაობის ოსტატთა მიერ უღიდეს შეჯიბრებებში მოპოვებული მედლები? მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, დღევანდელი დღე მაინც გამორჩეულია ფარიკაობისათვის და ჩვენთვის, მისი ოდანდელი თუ დღევანდელი მიმდევრებისათვის, ხოლო ჩვენთან ერთად სპორტის ამ სახეობის ყველა თაყვანისმცემლისათვის.

მაინც რად ვუძახით ამ დღეს დღესასწაულს, რად მივიჩნევთ მას გამორჩეულად? საქმე ის არის, რომ დღევანდელ დღეს ეურჩა საძირკველი ფარიკაობის ახალ ინსტიტუტს, საქართველოს მოფარკავეთა კლუბს „გორგას“. ეს ერთი და ორი თაობის ნაღვაწებარი არ გახლავთ; ეს აზრი ზმირად გამოგქონდა მოფარკავეთა ამპროფესიებულ შეკრებებზე. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და ამ ძველისძველი გამოთქმით გამხნევებული დღეს ვაქცევთ ცხადად ოდინდელ ჩაფიქრებს.

იოლი საქმე არ ყოფილა ამ კლუბის დაფუძნება — ბევრ ორგანიზაციაში თვალსაზრისით, არც სხვა საფულისხმო და საჭირო საკითხების გათვალისწინებით, რომელთა ჩამოთვლითაც თავი არ მინდა შეგაწყინოთ, მაგრამ ვერავითარმა სიძნელემ ვერ შეგვაშინა და აი, ჩვენი კლუბიც ფეხქვეშ იქცა.

ჩვენი კლუბის დაარსებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის გულითადი მადლობა უნდა გუძღუნოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, სპორტულ ფედერაციას, მადლობა უნდა გუძღუნოთ მწერლებს ჯაბუა ამორეკაძსა და რევაზ თავრაძეს, აგრეთვე, ენთუზიასტებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა კლუბის შექმნის იდეა ლტონ სიტყვად არ დარჩენილიყო.

რევაზ ციქარიძე,
სპორტის ოსტატი.

მცირე ისტორია

კახთული ფარიკაობა დიდი ხნის წინ ჩაისახა, თითქმის მაშინ, როცა ჩვენს შორეულ წინაპარს იარაღი დასჭირდა სამშობლოს დასაცავად. ნოღარ ჩაეკითხეთ ფარიკაობის ძალზე შორეულ ეპოქაში ვინ ვის ეჯიბრებოდა. საკმარისია ითქვას, რომ საუკუნეების ჟამგამოვლილმა ხელსურულმა ფარიკაობამ აგერ, დღევანდელობამდეც კი მოაღწია.

რაც შეეხება ფარიკაობას თავისი წმინდა სახით, ანუ კლასიკურ ფარიკაობას, როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას, იგი საქართველოში, ფეხტორფად, საქმოსა ეპოქაში იჭრა. მის შესაძირკვლებად გვიხსნებიან ლეგ გოლოვინა, ანტონი ფიოდოროვი, სიმონ საყვარელიძე და მათი თანამებრძოლები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენში ფარიკაობის დაწერგვა-განვითარების საქმეს. განსაკუთრებით დიდია მათი და მათი მოსწავლეების წვლილი სამამული ომისა და შემდგომ წლებში სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში. ისინი დაოღლაულად აწვრთნიდნენ მომავალ მეომრებს ხელჩართული ბრძოლისა და ფარიკაობის ურთუ-

(დასაწყისი მე-2 გვ.).

სურათებზე: „გორგას“ საორგანიზაციო საბჭოს წევრები პირველად კლუბ „მზეთუნახზე“; „გორგას“ ემბლემა (შუაში).
ა. კოტარაშვილის ფოტოები.

საქართველოს სპორტკომიტეტში

ზაიმართა სსრ კავშირის ხალხთა VIII ზაზფხულო სპარტაკიადისთვის მზადების შტაბის მორიგი სხდომა. განიხილეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ამ დიდ ფორუმზე რესპუბლიკის ცხენოსნობა და მოკრივეთა ნაკრები „გუნდების მზადების მიმდინარეობა, საჭიროებად გაწეული მუშაობა ამ სახეობებში და ის პრობლემები, რაც აფერხებს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის თანამდროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვას.

ინფორმაციით გამოვიდნენ ნაკრების გუნდების უფროსი მწვრთნელები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები კ. **გაზიაშვილი** (ცხენოსნობა) და დ. **დადიანი** (ჭრილი).

— სპორტკომიტეტის ფინანსური სტატუტებისთვის მზადებას — თქვა გამომაბოლოვა,— შარშან ნოემბრიდან შევუდექით. შეკრებაზეა 16 მხედარი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცხენოსნობის სამოგი კლასიკურ სახეობაში — სამჭიდაო, სადაც VI-VII ადგილს ვგეგმავთ, კონკურში (V-VI ადგილი) და ცხენის გაწვრთნაში (VII-VIII). საერთო გუნდური კი VI-VII გვაქვს დაგეგმილი.

— რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრებმა — თქვა დ. დადიანმა — მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საკვირო ახალგაზრდულ თამაშებთან შედარებით, სადაც ჩვენი სპორტსმენები უკანასკნელ, XVI ადგილზე გამოვიდნენ — გუნდის შემადგენლობა 60-70 პროცენტით გადახალისდა. გასული წლის ოქტომბრიდან 24 მკრივე ემზადება სეზონის უმთავრესი ასპარეზობისთვის. ახლო მომავალში ისინი შეკრებას გაივლიან ცხინვალში, გუდაუთასა და კიშინიოვში და მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა შეჯიბრებებში. მათ შორის გენერალ ლესელიძის ტარადიციულ მემორიალურ ტურნირში, აგრეთვე გამოცემ როგნში და სევასტოპოლში. ამის შემდეგ საბოლოოდ დადგინდება ნაკრების შემადგენლობა, რომელსაც მოსკოვის რინგზე ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა მიენდობა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **ზ. ჯოჯუაძემ.**

მცირე ისტორია

დასასრული

ლეს ხელოვნების. სწორედ მათი მოწაფეები მოეფინენ საფარაკო ბილიკებს რესპუბლიკამიც და მის ფარგლებს გარეთაც. ასე იწყებს თავის ახალ წიგნაკურებებს, თავის ახალ ერას საფარეხელის წინ მობილი ეროვნული ფარიკაობა, ასე ეყრება საფუძველი სპორტის ამ სახეობის ეროვნულ სკოლას.

ამას მოსდევს ახალი პერიოდი, როცა ფარიკაობის პირნერთა დაწყებულ გზას ღირსეულად აგრძელებენ მათი მოწაფეები და ასაკით შეიარაღებით ახალგაზრდა კოლეგები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი შემართებითა და მიზანსწრაფვით ოთარ დიდებულიანი, კოტე გონაძე, გიორგი ძოწენიძე, აღუსანდრე ბატმანოვი, რომლის ჯილაგაუა, ანდრო გაფრინდაშვილი, გიგა ერისთავი, გალაქტიონ ჩიქოვანი, ოთარ ჯვანია, ვასილ ელაშვილი, შოთა დარასელია, თამარა ტროფიმოვა, ბიჭიკო მესხი, თემო ისლამოვი, ვლადიმერ ჭოჩიაშვილი, სიმონ ჯაიმანოვიჩი, კოტე გამრეკელი და სხვები.

მათ საბოლოოდ გაუმაგრეს საძირკველი ქართული ფარიკაობის სიმპოლურ ტაძარს, რომლის კედლებშიც ამ ღვაწლმოსილთა ადამიანების მცდელობით გამოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი მუშკეტერები.

და აი, მცირეოდენი ისტორიული ექსკურსის შემდეგ ჩვენ მივადექით ქართული ფარიკაობის თანამედროვეობას. რომელსაც ხატოვნად ჩვენი ფარიკაობის „ოქროს ხანას" უწოდებით, ეს იყო დაუვიწყარი ეპოქა, აღსავსე ბრწყინვალე გამარჯვებებით, საოცარი მოწყვეტით, საკვირთო თუ საერთაშორისო ასპარეზებით. ჩვენმა ფარიკაობამ ორმოცდაათიან-სამოცდაანი წლების შესანიშნავი ოსტატების რეჟან ცირეკიძის, ნუგზარ ასათიანის, გურამ კოსტავას, იური ოსიპოვის, ჯონდო მაჭავარიანის, მორის სახვიძის, თეიმურ ზოტაშვილის, ძმები გოგელიების, ავთანდილ კიკნაძის, გურამ ლორთქიფანიძის, ზურაბ ცქიტიშვილის, შოთა სოლომანიძის, გურამ ჩხიძის, გივი ანდრიაძის, ჩვენი შესანიშნავი მოფარიკავე გოგონების ჯულიეტა გიორგაძის, იზო ესეიაშვილის, რუსუდან კვაცერის, მაყვალე კოხრეიძის, ზვიად ლორთქიფანიძის, დიანა შეყრილაძის და სხვათა წყალობით შეიძლება საბჭოეთში მოიხვეჭა დამსახურებული ავტორიტეტი და არა მარტო საბჭოეთში. იმ დაუვიწყარ წლებში ჩვენი ფოლადის იარაღი ელავდა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის უდიდეს შეჯიბრებებში და მეტწილად გამარჯვებას იმკიდა.

საბედნიეროდ, საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა ამ თაობის შეუნელებელი ტრიუმფული წინსვლა. მაგრამ 1967 წელს მოულოდნელად დაიწყო მძიმეი კრიზისი, რომელიც ბევრი ფაქტორით იყო გამოწვეული. აქ არ მიმაჩნია მიზანშეწონილად დაწერილებით გავაანალიზო კრიზისის მიზეზები, მაგრამ მის შედეგზე კი უეუოდ უნდა ითქვას ისიდა ისიც, რომ ამ ხნის მანძილზე არ ეკიდებოდა სახელოვანი, უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ფარიკაობის სკოლას, რომ 1968 წლიდან მოყოლებული დღემდე მან თავისი რიგებიდან წარმოიჩინა, ფაქტიურად, ერთადერთი უმაღლესი კლასის სპორტსმენისო ოსტატი ვლადიმერ აფციაურის სახით.

მოფარიკავეთა კლუბის დაარსების უპირველესი მიზანიც ხომ ის გახლავთ, შეძლებისდაგვარად, თითეულთან და ყველასთან ერთად თავგამოდებით ვიზრუნოთ ჩვენი საყვარელი სპორტის სახეობის ზეღაბაღი ალორძინებისათვის, მისი ორგანიზაციული, მორალური და სპორტული აღზევებისათვის, ფარიკაობის ახალი ტალანტების სელექციისა და დაწინაურებისათვის.

ა. მეიფარიანი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ნათქვამს: ნუმც განელებულეყოს ის მართლაც ცეცხლოვანი ენთუზიაზმი, რომლითაც ქართული ფარიკაობის გუშინდელი დღე შეიდა ფარიკაობის დღეგანდელ დღეზე, მის სასიცოცხლო ინტერესებზე ზრუნვას; დღე, ეს ენთუზიაზმი და მხნეობა გადასცემოდეს მოფარიკავეთა სწრაფად თაობებსაც ქართული სპორტის, რესპუბლიკის სიამაყესაც, ჩვენი ნათელი მომავლის საკეთილდღეოდ.

ბიძინა მესხი,
საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ყველამ უნდა დავიმახსოვროთ ეს დღე

ორმა მოვლენამ ამაღელვა და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე: პირველად, როცა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი 1961 წელს ლენინგრადში და ცრემლმორეული ვუსმენდი დარბაზში საზეიმოდ აღებულებულ საქართველოს ჰიმნს და მეორედ ახლა, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად ვდგავარ მოფარიკავეთა ახალდაბრძანებული კლუბის სიმპოლურ აჯანყებულ. ყველამ უნდა დავიმახსოვროთ ეს დღე, მე ვიტყოდი, ჩვენი ფარიკაობისათვის ისტორიული დღე, რომელსაც მადლიერებითა და მოწიწებით გაიხსენებენ ჩვენი შთამომავლები, მომავალი მოფარიკავეები.

აღტაცება აღტაცებად, მაგრამ თითეულიჩვენგანმა შეძლებისდაგვარად ხელი უნდა გამოვიღოთ, რათა კლუბის დაარსებას თავისი შეშფოთება ზარი მივანიშნოთ და პრაქტიკულად დავეხმაროთ ქართულ ფარიკაობას.

ბურამ კოხტავა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, მხოფლიო ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის პრიზიორი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: „ფორდს" პრეზიდენტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. კვერნაძისშილძე; კლუბის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტზე — კომპოზიტორი ნ. გაგარი (მარცხნივ) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ზ. იაშვილი; ნორჩ მოფარიკავეთა ხაჩვენებელი გამოსვლა; ხაზეიმო ფიცს დებენ „ფორდის" წევრები.
ა. კოტრატაშვილის ფოტოები.

ფიცი

ჩვენ, საქართველოს მოფარიკავეთა კლუბის „ფორდის" წევრები, ვფიცავთ, რომ:

— ხიდეს უნდა ვიყოთ, რა საქმესაც უნდა მოვეკიდოთ, მუდამ დავრჩებით ჩვენი უხაოვარესი სახეობის, ფარიკაობის ერთგულნი. სიტყვითა და საქმით, ჩვენი მცდელობითა და ენერგიით ხელს შევუწყობთ ეროვნული ფარიკაობის აღმავლობის კეთილშობილურ საქმეს;

— უშურველად, უანგარიშოდ ვემსახურებით ფარიკაობის ჭეშმარიტ დაოსტატება-დაწინაურებას, თავდაუზოგავად ვიზრუნებთ, რათა ქართულ ფარიკაობას არაბოდეს მოაკლდეს მაცოცხლებელი წყარო, ვიზრუნებთ სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის;

— პირადად ვუჭერებთ ახალგაზრდობას მაღალი ზნეობის, სამართლიანობის, ვაჟკაცობის, შეგნებრობის, უზრუნველყოფის და განსაცდელში რაინდული თანადგომის მაგალითებს;

— მუდამ ვეცდებით ახალგაზრდებს ჩავუნერგოთ ის ჭეშმარიტება, რომ დახვეწილი კულტურის და მაღალი ინტელექტის გარეშე მოფარიკავე სრულყოფილი ადამიანი ვერ გახდება.

— მომდევნო თაობებსაც ვაღვაცემთ წინამორბედთა წმიდა დანაბარებს, რომ ჩვენ, მოფარიკავენი, ერთი ოჯახი ვართ.

შეხვედრა სიჭაბუკესთან

ადამიანისათვის სიჭაბუკე ერთადერთი და განმეორებელი ოცნებაა, სიყვარულია, თავდავიწყებაა. ჩვენ ვიიდეალებთ ჩვენი ახალგაზრდების წლებს, ზოგჯერ შეგნებულად, ზოგჯერ გაუცნობიერებლად, მაგრამ ამას აქვს თავისი მკვიდრი საფუძველი. იქნება ასეთი გაიდეალების მიზეზი ისიც იყოს, რომ ბჭობად ჩვენს შორეულ სიჭაბუკეში ვტოვებთ ყველაზე ლამაზ, მაგრამ განუხორციელებელ იმედებს. იქნებ ასეთი გაწყობილების წყარო ისიც არის, რომ ჩვენ მაშინ, სიყმაწვილეში, შევიძინეთ ჩვენი ყველაზე ერთგული, სამუდამო მეგობრები, რომლებთან ერთადაც ბევრჯერ წაგვიმტვრევია ცხვირი, ბევრჯერ დაგვცლებია ფეხი, მაგრამ შეუდარებლად უფრო ხშირად გვეგრძნებია ადამიანური სიტკბოებისა და ნუტარების ენითგამოთქმელი სიხარული.

ან, ასეთი გრძნობები მაინცას ჩემი სიჭაბუკის მეგობრებთან უფროს ამხანაგებთან, ყოფილ მოფარიკავეებთან შეხვედრისას. მე ვხედავ მათ ისე, როგორც ვხედავდი სამი ათეული წლის წინათ და ეს არის ყველაზე უფრო საცარი და საგულისხმო ხილვა, რომელიც არც თუ მაინცდამაინც სენტიმენტალურ ადამიანს შეიძლება ეწვიოს.

ან, ამ ღონისდელმა, მაგრამ ყველაზეყველმა სიყვარულმა, მეგობრობამ, და-ძმობის მადლმა მომაბრუნა ჩემი სიჭაბუკის მეგობრებთან ერთად იმ სანეტარო სამყაროში, რომელსაც ფარიკაობა ჰქვია სახელად. ნორჩივით იფიქრებს, თითქოს ეს მხოლოდ ხელახლა გამოცდებულია სპორტული ჯილის ძალხილი იყოს. ჩვენ ჩვენივე ახალგაზრდობის წყლის ჭახსენებამ შეგვყარა მოფარიკავეთა კლუბის ახლადგაჯერ ფუძეზე.

ზ. კვერნაძისშილაძე,
საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს ორგანის ჩემპიონი ფარიკაობაში.

გუშინდელი დღის დაბრუნება

ჩვენ ზემომწერენი საგულისხმო მოვლენის მომსწრენი ვართ: ქართული ფარიკაობა იბრუნებს თავის წყაოში ცნობილ მოფარიკავეებს, ვეტერანებს, რომლებიც ასე სჩვრებმა მას სამომავლო გზის უკეთ გაკვალვისა და დაწინაურებისათვის. თუ პრაზაულ ენაზე ვიტყვით, ეს სწორედ ის დამატებითი რეზერვია, რომელიც დიდად წაგვდებოდა ფარიკაობის ხელახალ აღორძინებაში, ხოლო ხატოვნად — ეს არის ჩვენი ფარიკაობის რენესანსის თავისებური საწინდარი. ამიერიდან ფარიკაობის მრავალრიცხოვან ვეტერანთა შეშწეობით ჩვენ უფრო გულმაგრად და ოპტიმისტურად აღვასრულებთ ჩვენს მოვალეობას — ფარიკაობის ცალის მომზადებას, საუკეთესო ქართველ მოფარიკავეთა გაყვანას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

კიდევ რა შეიძლება დავემატო



„ფორდა"

მუშკეტერების ჰიმნი

მუსიკა
ნ. გაგარიისა

ლექსი
ვ. გოგოლაშვილისა



ცხრა ზეცა გადაგვეცლია,
შევარდნია და ქორთა,
ისევ ელავენ დაშნები,
ისევ გვეძახის გორდა.

გორდა, ხმალი და მახვილი,
ჩაუქრობელი გრძნობა,
ერთგულება და გატანა,
სიყვარული და ძმობა.
გორდა, გორდა, გორდა!

დრო ცვდის, ბრძოლა გრძელდება,
გული ამაყად ფეთქავს,
საქართველოსთვის ბოლომდე,
მუშკეტერებო. ერთად!

გორდა, ხმალი და მახვილი,
ჩაუქრობელი გრძნობა,
ერთგულება და გატანა,
სიყვარული და ძმობა.
გორდა, გორდა, გორდა!

83

სსრ კუბოკი — პორტუგალია

26 აპრილს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და პორტუგალიის ახალგაზრდულ ნაკრებს შორის.

ანგარიში გახსნეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (ტარანჩენი, 27-ე წუთი), სპასუხო გოლი 35-ე წუთზე გაიტანა კუელიოზმა — 1:1.

სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნოვიკოვი, კუზნეცოვი, დოლგოპოლოვი, პოზდნიაკოვი, ვინოგრადოვი, ზაგმანტორინი, მესტერკოვი, ქაჯაია, ტარანჩენი, ბროშინი, მოლოდცოვი (მხოლოდ ორანაირი).

ამ ჯგუფში ახლა ასეთი სატურნირო მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პოლონეთი	4	1	2	1	5	— 2
პორტუგალია	3	1	2	0	3	— 2
სსრ კავშირი	3	0	2	1	4	— 3
ფინეთი	4	0	2	1	3	— 7

ამრიგად, სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა შინ ჩატარებულ 3 შესარჩევ მატჩში მხოლოდ 3 ქულა აიღო. ახლა იგი სამივე მეტოქეს სტუმრად უნდა შეხვდეს.

* * *

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირისა და პორტუგალიის პირველი ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი.

შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა კავშირის ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვებით — ანგარიშით 5:0.

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:3. მსაჯი ზ. თომაზაშვილი (ცხინვალი).

გოლები: ალადაშვილი — 2, ტუხაშვილი („მეტალურგი“), ჭარაული, თიმბლიკი („ლოკომოტივი“).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისის) 1:1. მსაჯი ბ. ჯელაძე (თბილისი).

გოლები: ხუციურაული (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ბაკურაძე („ავტომობილისტი“).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0. მსაჯი ვ. მაზუხინი (რუსთავი).

გოლები: ტალახაძე — 2, შვილიდოვილი.

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „თორპი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ი. ბარხვაძე (ცხინვალი).

გოლები: ნოზაძე („თორპი“), ქიპიანური („ქართლი“).

„ავიატორი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

გოლები: ვასაძე, გაბელაია.

„ოვერია“ (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ო. კოკაია (ფოთი).

გოლები: ონაძე, ლომსაძე.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ

„ხეთური“ (წალენჯიხა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი ნ. ზავაზავილი (ბათუმი).

ბურთი გაიტანა ბოჯგუამ.

„ჭიათურა“ (ჩიათურა) — „ოქურეთი“ (წყალტუბო) 2:1. მსაჯი რ. გორნოსკაია (სამტრედია).

გოლები: ვასაძე — 2 („ამირანი“), ლომპარტელაძე („ოქურეთი“).

„ხაშურა“ (ხაშური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 4:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

გოლები: ფარულავა, სილაგაძე, ფანჩულიძე — 2.

„ხიდისთავი“ (ზესტაფონი) — „მეტალურგი“ (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი თ. სადღილაძე (თბილისი).

ბურთი გაიტანა ქუთელაძემ.

„ხალხანო“ (გეგეჭკორი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი ნ. წერეკიძე (ფოთი).

გოლებს: რუსია, ოდაშვილი. გეგეჭკორელმა გოგოძემ ვერ გაიმეორა ხიდისთაველის მარკეტა.

„ხიდისთავი“ (ზესტაფონი) — „ლოკომოტივი“ (ხაშური) 3:0. მსაჯი ზ. ბერიძე (ქუთაისი).

ბურთი გაიტანა ჯოხაძემ.

„მზიური“ (გალი) — „სამგორალი“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

ბურთი გაიტანა ყოლბაიამ.

„ლოკომოტივი“ (ხიდისთავი) — „ხიდისთავი“ (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი ნ. ბუხუტი (ბათუმი).

გოლები: ყურაშვილი, ხარსეია, შონია („ავტორი“), ღონღაძე („შუქურა“).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ენგური“ (ზუგდიდი) 5:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

გოლები: ბერგველაძე — 3, ერაძე, სვვანტრაძეული („მაღაროელი“), ცირდავა („ენგური“).

II ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ

„გარისი“ (თეთრი წყარო) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 0:0, „თრიალეთი“ (წალკა) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:1, „გაზთადი“ (ქასპი) — „ჩიხური“ (საჩხერე) 0:1, „იმედი“ (რუსთავი) — „მაშავერა“ (დმანისი) 2:3, „ხარზია“ (დედოფლისწყარო) — „ბეშეთი“ (ახალციხე) 3:0, „ურავი“ (ფინარული) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 4:2, „ვესხეთი“ (ახალციხე) — „შუხუთელი“ (ქიზიყური) 3:0.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — „რაჭა“ (ამბროლაური) 1:0, „ბაკურჭალა“ (ოქემი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 2:3, „სუნაკი“ (ცხაკაია) — „კოლმეურნე“ (ტყიბული) 1:1, „გიგანტი“ (ლიითური) — „თოლია“ (ბათუმი) 2:1, „კოლხიდშენი“ (ფოთი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 4:1, „ავტომობილისტი“ (ამპარა) — „მახტორი“ (ტყიბული) 1:0, „ოდიში“ (ზუგდიდი) — „ვიაქტორია“ (სოხუმი) 5:0, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „ბიფი“ (ცუდიდუა) 7:0. დეკაშვილ „კოლმეურნეს“ მოგება ჩაეკვალა სოხუმის „გემოლოგან“.

ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ

მდგომარეობა 27 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჭერეთი“	6	4	2	0	16	— 3
„არმაზი“	7	4	2	1	13	— 8
„ოვერია“	7	4	2	1	11	— 6
„ავტომობ.“	7	3	4	0	10	— 3
„ავიატორი“	7	3	3	1	14	— 3
„დურუჯი“	7	3	3	1	11	— 6
„ცხინვალი“	6	3	2	1	8	— 3
პრო. ინსტ.	7	1	6	0	9	— 8
„მაღნეული“	6	3	1	2	12	— 7
„მეტალურგი“	7	2	3	2	10	— 7
„სპარტ.“ თბ.	6	2	3	1	6	— 7
„სპარტ.“ ცხ.	6	3	0	3	14	— 13
„თორპი“	6	1	4	2	7	— 9
ფიზკ. ინსტ.	7	2	1	4	7	— 11
„სამგორი“	6	1	2	3.	5	— 7
„ქართლი“	7	1	2	4	8	— 17
„ალაზანი“	7	0	0	7	2	— 18
„ლოკომოტივი“	7	0	0	7	2	— 28

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲮᲐᲖᲘ

„სპპოველა“	8	3	5	0	14—6	11
„დინამო“ ზ.	6	5	0	1	9—3	10
„ბაზმარა“	8	4	2	2	7—3	10
„ამირანი“	7	3	3	1	13—9	9
„სამეგრელო“	7	3	3	1	9—5	9
„სამგურალი“	8	3	2	3	7—4	8
„სქური“	7	3	2	2	10—8	8
„სულორი“	8	3	2	3	6—7	8
„ენგური“	7	3	2	2	7—11	8
„მზიური“	7	3	1	3	8—5	7
„სალხინო“	7	2	3	2	4—7	7
„დინამო“ გ.	8	2	3	3	8—14	7
„მაღაროელი“	7	3	0	4	13—7	6
„ჯოლეთი“	6	2	2	2	7—8	6
„ეგრისი“	7	2	2	3	7—9	6
„იმერეთი“	7	1	3	3	6—9	5
„მეტალურგი“	6	1	2	3	7—9	4
„სიღნაღი“	6	1	1	4	6—11	3
„ზუგდიდი“	7	0	2	5	8—21	2

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲙᲢ-ᲛᲔᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲚᲝ.

11-ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲣᲓᲘᲓᲘᲪᲘᲔᲚᲝᲜᲝᲗᲐ ᲙᲐᲠᲨᲘ

განვლილ მატჩებში სულ ორმა ფეხბურთელმა მიიღო გაფრთხილება, მაგრამ თუ ჩხოროწყული „სამეგრელოს“ მოთამაშე ე. ცირკოლისთვის ეს პირველი გაფრთხილება (ჩხოროწყუს სპორტკომიტეტის თავჯდომარე ე. ცანავა), მეცხეთის „არმაზის“ წევრი ო. გაბრიხიძემ მეორედ ჩაიდინა დანაშაული და მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. მეცხეთის სპორტკომიტეტმა თავისმოქმედად ა. ბერიძე) მკაცრად უნდა იმსჯელოს ო. გაბრიხიძის უდისციპლინობაზე.

უფრო მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევა მოხდა II ჯგუფის გათამაშებში. რუხთავის „იმედის“ ფეხბურთელი ზ. გოგოლაძე დემონსტრაციულად ხელს უშლიდა მსაჯს თამაშის ნორმალურად ჩატარებაში და თავისი პროვოკაციული შეძახილებით აიყოლია მაყურებელთა ერთი ჯგუფი. ეჭვი არ გვეპარება, რომ რუხთავის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე ქ. ხაჩუტაია) სათანადო ზომებს მიმართავს თავის ხელში ტაძიონზე წესრიგის დასამყარებლად და ჯეროვნად დახ-ვედრ-ის მ. გოგოლაძეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲜᲔᲑᲘ, ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲔᲝᲑᲐ

ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲚᲐᲡᲘᲐ

ჩემპიონობის დამთავრებამდე ჯერ საკმაო დროა, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პირველი ადგილის პრეტენდენტი ახლა ორია: ზაგრების „დინამო“ და ბელგრადის „პარტიზანი“.

XXV ტურში „დინამომ“ ფრედ თითქმის ლიფლიანის „ოლიმპიასთან“ — 1:1, ხოლო „პარტიზანმა“ ანგარიშით 3:1 მოუგო „რადნიჩკის“ (ნიში).

	თ.	ბ.
„დინამო“	25	48 — 27
„პარტიზანი“	25	45 — 25
„ჰაიდ“ (ს.)	25	34 — 24

პირველი ლიგის დატოვება ემუქრება ცნობილ კლუბს, ოფკა-ს (ბელგრადი), იგი ბოლოსწინა, მე-17 ადგილზეა და წინა ადგილზე მყოფ გუნდს 3 ქულით ჩამორჩება.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ

XXII ტურის შემდეგ ცსკა-„სპარტაკის“ ჩემპიონობის მოპოვების პრეტენზია არა აქვს, მაგრამ თავის მინდორზე სასტიკი მარცხი აგება ჯერ ციურიხის „გრას-ჰოპერსს“ — 5:1, შემდეგ კი ფენეკის „სეროტს“ — 4:1. ამის მიუხედავად, ამ ორი დაწინაურებული გუნდის დავაში ვერაფერს ჩაერევა.

„ბერეთები“	21	45 — 16
„ბრანდი“	21	41 — 22
„ხენკ“ ჯელ.	21	44 — 25

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ

XXXI ტურის შემდეგ გლაზგოს „სელტიკის“ მდგომარეობა კვლინხედ-ბეირდენის „ჰიბერნიანზე“ ერთი ქულით მეტია.

„სელტიკი“	31	77 — 30
„დენდი უნ.“	31	73 — 32
„ჰიბერნიანი“	31	60 — 24

„ბეირდენში“ ნაწილობრივი რევანში აიღო თასის გათამაშებაში, სადაც ნახევარფინალში მოუგო „სელტიკს“ — 1:0. მეორე ნახევარფინალში „გლაზგო რეინჯერსმა“ ფრედ (1:1) თამაშა „სენტ-მირენთან“. გუნდები განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

ᲐᲖᲘᲐ

მას შემდეგ, რაც XX ტურში ვენის „აუსტრია“ სტუმრად დამარცხა „გრაცერ ა-თან“ — 0:3, ხოლო „რაპიდმა“ 2 ქულა აიღო ვენის „ადმირა-ვაკერთან“ — 2:0, „რაპიდმა“ უკვე 6 ქულით ჩამოცილება მეტოქეს და, ეტყობა, ჩემპიონობას არაფის დაუთმობს.

„რაპიდი“	20	49 — 9
„ვენერია“ (ვენა)	20	42 — 20
„ხვ-ვაკ.“ (ინს.)	20	39 — 26

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

XXX ტურში ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი — რიტორდამის „ფეიენოორდი“ მოუღონებად დამარცხა პირველი ლიგის ახალეზი — „ფორტუნასთან“ (სტარდი) 0:1. ამან მკვეთრად გაუმჯობესება „ილჩის“ (მსტერდამი) შესაძლებლობები, რომელმაც ანგარიშით 8:2 მოუგო „ტილბურგს“.

„ილჩი“	30	91 — 32
„ფეიენოორდი“	30	62 — 32
„ეინდჰ.“	30	76 — 29

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ

ჩემპიონობის მოპოვების საუკეთესო შესაძლებლობა აქვს პირველის „ოლიმპიაკოსს“. XXVI ტურის შეხვედრა სერესის „პანსერაიკოსთან“ მან ფრედ დაამთავრა — 0:0.

„ოლიმპიაკ.“	26	46 — 16
„არისი“ (სალ.)	26	29 — 14
„პან“ (სოვნი)	26	28 — 27

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

თურქეთის ეკს-ჩემპიონი „ტრაბზონსპორი“, რომელიც კარგა ხანს წარუმატებლად თამაშობდა, ახლა ბატს ბატჩზე ეგება, იგი ჩაეინა ისტამბოლის გუნდების „ფენერბახჩესა“ და „გალათასარაის“ დაშაში.

„ფენერბახ.“	25	27 — 14
„გალათასარ.“	25	28 — 16
„ტრაბზონს.“	25	28 — 15

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ინგლისის „კარდიფ სიტის“ მეწარმემ რ. ჰჯიტმა 100 გირვანქა სტერლინგით დააჯილდა თავდამსხმელი ბეტენი. ეს იმიტომ, რომ იგი წამდაწუმს და უთავბოლოდ ურტყამს კარში, მაშინაც კი, როცა მის პარტნიორებს გოლის გატანის გაცილებით უკეთესი შესაძლებლობა აქვთ ხოლმე.

ᲒᲐᲖᲐᲮᲡᲘᲗ

ᲒᲠᲔᲒᲝᲠᲘᲜᲘ ᲒᲚᲣᲮᲐᲠᲘ?

ძველ თბილისელ გულშემატკივრებს ფთოუდ ახსოვთ ბორწინეველი ბასკი შეკარე გრეგორო ბლასკო, რომელმაც 1937 წელს ორჯერ ითამაშა თბილისში. 30-იან წლებში იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა ბილბაოს „ატლეტიკოში“ და ესპანეთში სძლევიერთ მეორე მეკარედ ითვლებოდა რიკართო ზამორას შემდეგ. სსრ კავშირში იგი იცავდა ბასკეთის ნაკრების ორისებს.

და აი, ახლახან ბოვედა ცნობა, რომ ბლასკო გარდაცვლილა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს. ამ ცნობის ბოლოში ეწერა, რომ ბლასკო გარდაიცვალა 1938 წლის შემდეგ ცხოვრობდა და ყარგა ხანს ადგილობრივ გუნდებში გამოდიოდა.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲜᲝ ᲐᲛᲮᲔ ᲮᲔᲘᲜᲐ

გკრ-ის ჩემპიონობაში კვლინხედ-ეტონად უთრადღებას იპყრობს 31 წლის ცენტრფორვარი შერაიზა, რომელსაც ამ შეკიბრებებში მონაწილეობის მაძნდეზე, მეორე წრის დაწყებამდე 190 გოლი ჰქონდა გატანილი. მიმიმნელოვნების აზრით შტარიბი ამ ჩემპიონატის ბოლომდე უნდა შეეიდეს „ორასიანთა კლუბში“.

შტარიბს სხვა რეკორდის ჯემპიონშეცდება შეეძლია — მას ერთ-ერ ნაკრებში 90 მატჩი აქვს ჩატარებული (48 გოლი). ასე რომ, შეეძლია მსოფლიოს „ასიანთა კლუბში“ შესასვლელად იბრძოლოს.

კიდევ ერთი ინტიანი მიღწევა — „ყარ ცაისის“ მეკვლე შეკიპაზეს ეროვნულ ჩემპიონატებში 100 გოლი აქვს გატანილი.

ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲔᲛᲘᲐᲜᲘ „ᲯᲐᲓᲝᲚᲐᲜᲘ“

მწვრთნელი რონ საუნდერსი, რომელიც ახლა „ბირმინგემ სიტის“ ხელმძღვანელობს, მარტო თავისი საფეხბურთო მიღწევებით კი არ არის ცნობილი. მას ხანგრძლივი „ჯადოსანი“ უწოდებენ იმიტომ, რომ ვარჯიშის „მაგიური შელოცვების“ სერია შემოიღო.

თვით საუნდერსმა განაცხადა, რომ ეს „მაგიური შელოცვები“ ძირითადად მის მოთამაშეებზე კი არ მოქმედებს, არამედ... მათ მეტოქეებზე.

— მე თვითონ შეგუშყუე ხელი ჩემზე ასეთი ხმების გავრცელებას — უთხრა საუნდერსმა ვენის „ცურასის“ კორესპონდენტს. — თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამგორი ცრუთრწმენები არიან ინგლისელი ფეხბურთელები.

„ᲡᲐᲜᲐᲜᲛᲘᲜᲐ“ — ᲐᲮᲘᲠᲘᲗ ᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘ

ბრაზილიაში პროფესიული ფეხბურთის დაკანონების 50 წლის თავთან დაკავშირებით აჭაროში ფურნალა „ალაკარა“ შეადგინა კლუბების თავისებური „რანჟირება“.

აი, როგორ განაწილდა ადგილები: 1. „სანტოსი“, 2. „პალმეირასი“, 3. „ფლამენგო“, 4. „კორუხიანსი“, 6. „სან-პაულუ“, 7. „ატლეტიკო“ (მინეირო), 8. „გრემიო“.

ᲙᲐᲠᲐᲒᲔ ᲗᲐᲚᲐᲮᲘᲗᲐ, ᲑᲐᲠᲐᲙᲘᲗᲐ

ბუტეგემ, რომელსაც იტალიის ნაკრებში 41 მატჩი აქვს ჩატარებული და ახლა ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობს, ამას წინათ გაანახდოა, რომ უკვე დროა დატოვოს „ფოსტკლუბი“ გუნდი.

ბუტეგამ განაზრახული აქვს 1983-84 წლების სეზონიდან კანდის ტორინტში ბლიზარდში“ გადავიდეს.



ᲣᲨᲙᲘᲠᲝᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

მშვიდობისა და მეგობრობის ფესტივალი

ნიუ-იორკი. მშვიდობისათვის და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისთვის ბრძოლის დემონსტრაციად იქცა ქალაქ ლოურენსში (აშშ-ის შტატი) სპორტული ფესტივალი, რომელიც გამართა ამერიკული ორგანიზაციამ „სპორტსმენები მშვიდობისათვის ბრძოლაში". ფესტივალში მონაწილეობა მიიღო სამმოცდაექვსმა სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ოლიმპიური ჩემპიონის ვლად პეტროვის მეთაურობით.

ლოურენსის სპორტულ ფესტივალის მონაწილეებმა მთელი მსოფლიოს მოყვარულებისა და სპორტსმენებისადმი მიიღეს მიმართვა, რომელშიც მოყურადებენ ამ სპორტული ფესტივალის მონაწილეებს ასობით ათასობით ამერიკელი მეგობარი.

„სპორტსმენები მშვიდობისათვის ბრძოლაში" ორგანიზაციის საბჭოლით მიმართავს ხელი მოაწერეს ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჯ. ბრაიანტ გუმბელმა და თავმჯდომარემ რობერტ სუპანმა, აგრეთვე ოლიმპიელებმა დორა ბრაუნინგ პეისმა, ედ ებერლემ და სსრ კავშირის სპორტსმენთა სახელით ოლიმპიური ჩემპიონის ბობი მაკმილანის სახელით საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა ე. პუტინცევამ და ორი ოლიმპიადის პრიზიორმა იგორ ტერ-ოვანესიანმა.

საბჭოთა სპორტული დელეგაციის ჩასვლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. დელეგაციაში მიიღო შტატის გუბერნატორმა ჯ. კარლიზმა და შტატის საგარეშოდელო კრებამ. დელეგაციამ ეწვია კანზასის ბეისბოლის სკოლას, მონაწილეობა მიიღო დისკუსიებში ისეთ აქტიალურ და საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიცაა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, აშშ-სა და სსრ კავშირს შორის კონტრაქტების და მათ შორის სპორტული ურთიერთობის გაუმჯობესება.

ფესტივალი მიმდინარეობდა 58-ე ტრადიციული მძლეოსნური „კანზასური ესტაფეტის" ფარგლებში. დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტსმენების პირველმა ესტაფეტამ გამოსვლამ. კანზასის შტატის უნივერსიტეტის სტადიონი, რომელიც 20 000 მაყურებელს იტევს, მუდამ სავსე იყო.

საბჭოთა სპორტსმენები პირველობენ თითქმის ყველა სახეობაში, რაზეც ეი ბასპორზეს. 800 მეტრზე რბენაში გამოარჯვა ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი ოდესელმა ნადეჟდა ოლიზარენკომ, 3000 მეტრზე რბენაში უსაკეთესო იყო ანდიგანელი სვეტლანა უღმასოვა, ბირთვის გაგრეთ ჯავთ შორის ყველას ადრა ლატვიელმა ი. ბოთარმა, ხოლო ურთ ტყორცნაში — კიეველმა ი. ტამმა. ჭოკით ხტომაში 557 სმ სიმაღლე დაძლია ირკუტსკელმა ა. კრუპსკიმ. 17 მეტრზე „გაფრინდა" დნეპროპეტროვსკელი სამხედრომელი ნ. მოსიიენკო, 1500 მეტრზე რბენაში პირველი იყო სიმფეროპოლელი ნ. რაღუიენკო, ათჯერ-ში თავი ისახელეს კიროველმა გ. დეგტიარენკომ და ლენინგრადელმა ა. ნევსკიმ, რომლებმაც შესაბამისად 8240 და 8192 ქულა მოაგროვეს. (საკდენი).

პირველი შეჯეგები

თბილისი. „დინამოს" ყორტებზე გრძელდება ჰანუ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით ადის სტარტი სპორტის ოსტატმა, დინამოელმა ირინა მალაკიძემ, რომელმაც დამთვრებულად (6:4, 6:1) დაამარცხა პოლონელი ევა ქალდეცკა. ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა მოსკოველმა ნატალია ბიკოვამ სძლია ულრიკე ასელს (გერ) —6:1, 6:2, ლეილა მესხმა იოლი გამარჯვება მოიპოვა კუბელ სელია არისთან — 6:2, 6:2. მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია ნორჩმა თბილისელმა დინამოელმა ინგა ანტონიანმა რუმინელ ჩოგბურთელს თუოდორა ტაკს — ორსათიანი პაექრობა სტემარმა მოიგო — 6:2, 7:6.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ო. ასტაფიევა — ლ. არტეევა (კუბა) 7:5, 6:1, ვ. მილეიდსკაია —ჯ. მარალიასი (ბოლგარეთი) — 6:4, 6:1, ვ. სეფლანკოვა (ჩეხოსლოვაკია) — ე. ფოდისკაია 6:4, 7:5, ი. ფიშკინა — ა. მეჩირეკა (ბულგარეთი) 6:0, 6:0. მ. კომაბინსკუ (რუმინეთი) — ი. ტაგარესი (კუბა) 6:3, 6:4, ა. ფატტეევა —მ. ვანეკი (პოლონეთი) 6:2, 4:6, 6:3.

ერთიუოლა ასპარეზობის შემდეგ შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა. მონაწილეებს მიესალმნენ სამართველოს სსრ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ე. კონცელიდე და სამართველოს სსრ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. მეტრეველი.

ა. ჯალაიანი,
მთავარი მსაჯის მოადგილე.
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათებზე: ლ. არტეევა (ზევით) და ლ. მესხი ასპარეზობისას.
ვ. ზუცერაულის ფოტოები.



საბუგეთო ჩემპიონატი

ბოსკოპში, სსრ კავშირის ვალუტა 50-ე ჩემპიონატზე დასკვნით, XVII ტურის დაწყებამდე მოცდილოკავები გადაეცნენ პარტიების დაამთავრეს.

ვასანიანმა მოუგო ავზამოვს, ლურნერმა — რაზუვაევს, ტუკმაკოვმა —მალაიოვს. სამი პარტია დაამთავრა რომანიშინმა: მოუგო ფსახისს და ბალაშოვს, მაკრამ წააგო იოსუპოვთან. დაზოგნენ აგზამოვი — გელერი, იუსუპოვი — პეტროსიანი, პოლუგაევსკი — ვასანიანი, რაზუვაევი — ბელიავსკი და ლურნერი — იუსუპოვი.

ფინეთი იაროსლავლში

იაროსლავლი დამთავრდა ჰანუკის (20 წლამდე) მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 14 საბჭოთა მოჯადრაკე მონაწილეობდა.

დასკვნითი, XIII ტურის წინ მსოფლიო პირველობის ერთადერთი საგზურის მოპოვების შანსი ჰქონდა სალოს (ჩეხეთი). მაგრამ ბოლო დღეს მან ვერ დაძლია ესპანელის წინააღმდეგობა და ყოველს დასჯერდა. ოლგა დათმარცხა მოსპინიტ და სალოს დაეწია. ამრიგად, I–II ადგილები გაიყვეს ვ. სალოვმა (ლენინგრადი) და ლ. ოლმა (ტალინი) —9,5–3,5.

III ადგილზეა გ. გიორგაძე (თბილისი) — 9. ბოლო ტურში მან სძლია რუბანს.

შემდეგ მოდიან: ვ. ეგმანი (ლვოვი), ჯ. ყულისკუ (დნეპროპეტროვსკი), ვ. რუბანი (ნოვოსიბირსკი) — 7,5–7,5, ი. ნაუმკინი (მოსკოვი) — 7, ს. ზაგრებელი (ჩარჩილი), ე. ბარეევი (მოსკოვი) — 6, ა. გოლდინი (ნოვოსიბირსკი) — 5,5 და სხვ.

მართალია, თბილისელმა ოსტატმა მსოფლიო პირველობის საგზური ვერ მოიპოვა, მაგრამ საერთო ჭრილში წარმატებით ითამაშა. მან 6 შეხვედრა მოიგო, ამდენივე ფრით დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო (დუტკოვთან). გირგვლ თითმის გიმ პირველ ზუთეულთან: მოუგო ოლს, ეგმანის, რუბანის, დაეზავა სალოსცა და კუილისკის. უდავოა, რომ ნიჭიერი ოსტატი შესანიშნავად გაძლიერდა და მისგან ახალ მიღწევებს უნდა ველოდოთ.

● ჰოკეი

წინ გადაწევეტი შეხვედრებია

გუშინწინ მიუნხენში შედგა ჰოკეისტთა 49-ე მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ორი შესარჩევი მატჩი: ჩეხოსლოვაკელებმა დაამარცხეს იტალიელები 11:0, ხოლო საბჭოთა სპორტსმენებმა შვეიცარიელები — 5:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აპრილისთვის					
	ა.	ფ.	ზ.	ჯ.	
სსრ კავშირი	7	0	0	41—7	14
კანადა	5	0	2	26—16	10
ჩეხოსლოვაკია	4	1	2	36—15	9
შვეიცია	4	1	2	26—21	9
ფინეთი	3	1	3	17—23	7
გდრ	2	0	5	19—28	4
ფინეთი	1	1	5	20—28	3
იტალია	0	0	7	5—46	0

ამრიგად, ეროვნა ჩემპიონობა ოცდამესამედ მოიპოვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა, „ვერცხლი" წილად ხვდათ ჩეხოსლოვაკელებს, „ბრინჯაო" — შვეიცელს. პირველ ოთხ ადგილზე გასული გუნდებიც დამატებით შეხვედრებში გამოვლინდება მსოფლიო ჩემპიონი. თამაშების გარიგი ასეთია: 28 აპრილი: შვეიცისა და სსრ კავშირის ნაკრები, ჩეხოსლოვაკია —კანადა. 30 აპრილი: კანადა — შვეიცი, სსრ კავშირი —ჩეხოსლოვაკია. 2 მაისი: შვეიცია —ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი — კანადა.

● კალათბურთი

...და მაინც „ბარსელონა"

ესპანეთის ჩემპიონატში პირველი ადგილისათვის ბრძოლა ტრადიციულად ორ გრანდს — მადრიდის „რეალს" და „ბარსელონას" შორის იმართება. სხვა კლუბი ამ ვითომდა ორ ჩაერევა და ამ ტანდემის დავიშა.

როგორც მომხმხელებები ალნიშნავენ, 1982–83 წლის ჩემპიონატში „რეალისა" და „ბარსელონას" მეტოქეობა უკიმპრომისო ხასიათს ატარებდა. პირველი წრის შეჯვედრა ტექნიკურ მატჩებში მადრიდში გაიმართა და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით 91:85. ყველაზე შეჯვედინი იყო ოფიციალური მარშა დელაბაშინი (26 ქულა). ჩემპიონატის მატჩებში „რეალმა" და „ბარსელონამ" ყველა სხვა მეტოქე დაამარცხეს. ყველაფერს წყვეტდა მათ ვანშეორებითი შეხვედრა ბარსელონაში. აჭერად „ბარსელონამ" შეძლო რევანშის აღება.

ამრიგად ჩემპიონატის ბოლოს „რეალმა" და „ბარსელონამ" 26 ტურის შემდეგ 50 ქულა მოაგროვეს (25 გამარჯვება, 1 დამარცხება). ჩემპიონის გამოსავლინებლად დამატებითი მატჩი შედგა 7 აპრილს ოვიედოში, 7.000 მაყურებლის თანხლებრივით. შეხვედრა „ბარსელონას" მცირე უპირატესობით წარმატება. კარგად თამაშობენენ გუნდის ლიდერები: ესპანეთის ნაკრების წევრები სან-ეპიგანო და სიბილიო. ანგარიშით 76:73 (33:30) გაიმარჯვა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა „ბარსელონამ", რომელიც გაისად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის იბრძოლებს.

ახლა ესპანეთის ნაკრება ემზადება ევროპის მორიგი ჩემპიონატისთვის (საფრანგეთი, 26 მაისი). გუნდში სეროხოვთ ცვლილებები არ მომხდარა. მის პირთუ კვლ ცნობილი კალათბურთელები: კორაბალნი, ბობაენერი, სან-ეპიგანო, სიბილიო, დელა ჯრუსი, იტურიაგა, მარტინი, ლორნტე, სარაზპალეი წარმოადგენენ. ესპანელი მომხმხელებები ვარაუდობენ, რომ ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე საპრიზო სამეულში შესვლა უნდა შეძლოს.

ვ. კალანდაძე.



სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 23 აპრილს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი, მე-17 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (21 ბარათი) მოგება 1733 მანეთია, ოთხისთვის (1254 ბარათი) — 35, სამისთვის (22103 ბარათი) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3278 ბარათი) — 87, სამისთვის (68545 ბარათი) — 7.

მოგებების თანხის განაღდება— 4 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით.

ჭადრაკი

სიხარული გაიზიარა

ია დღეს ორჯონიკიძის რაიონში დიდი ზეიმი იყო. რაიონის კლუბის სახლში საქადრაკო კლუბი გაიხსნა.

ზარგაოულელ მოჯადრაკეთა სახარული გაიზიარა მსოფლიოს ექსჩემპიონმა, დიდოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც ჭიდრაკში საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელ ჯ. თავარიანთან ერთად ორჯონიკიძეში ჩაყიდა კლუბის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. მან გულთბილი სიტყვა წარმოთქვა, დაპწერვით კლუბურის ახალ ქერის შექმნა მიულოცა.

დასასრულს ნ. გაფრინდაშვილმა ერთიროული თამაშის სეანსი ჩაატარა 18 დაფაზე. მან 16 პარტია მოიგო, ერთი წააგო (სოფ. მოლითის საშუალო სკოლის დირექტორ ვ. ფაცერაძესთან) და ერთიც ყაიმით დაამთავრა (რასაკვირველია ფიზ ჭირუტკ ვ. არჭვაძესთან).

ზარგაოულელებმა ძვირფასი სტუმარი ორჯონიკიძის რაიონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

ა. ბაღრაძე,
ორჯონიკიძის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

ქარაგმული ნაკვესები

● ვარჯიშს ნუ უღალატებ და ჯანმრთელობაც არ გიღალატებს.

● თუ სირბილით თავს ზშირად „შეიწუხებ", ავადმყოფობა არ შეგაწუხებს.

● თვითმყოფელებით დაავადებულ ფეხბურთელს მაყურებელი კმაყოფილი არ ეყოლება.

● ხელიდან წასულ ჯანმრთელობას შეიძლება სირბილით დაეწიო.

● სიმაღლეზე მხტომელმა რეკორდი დაამყარა და მწვრთნელი სიხარულით ცას ეწია.

● სპორტული გამარჯვება იწყება სავეთარ თავზე გამარჯვებით.

ოთარ ხაბეიძე.
(ბორჯომი).

რედაქტორი ა. გაბისლია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზუგდიდის ოსტატობის ნაბეჭდი დარგის ოსტატობის სახლის ბეჭდვა, 280006, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. ინდექსი 66435 საქართველოს პოლიგრაფიის, პოლიგრაფიული ინდუსტრიის და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ზუგდიდის ოსტატობის სახლის ბეჭდვა, 280006, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. ინდექსი 66435 ტირაჟი 67516. შეკვ. № 07556